CURATIO INTERNATIONAL FOUNDATION
25 Years for Better Health Systems

AUB American University of Beirut
Faculty of Health Sciences
Knowledge to Policy | K2P | Center

Knowledge to Policy Center K2P Mentorship Program

იანვარი 2021

საერთაშორისო ფონდი კურაციო
სტრატეგიული სასტიპენდიო/სტაჟირების პროგრამა

სასტიპენდიო/სტაჟირების პროგრამის აღწერა

სასტიპენდიო პროგრამა გამიზნულია ჯანდაცვის სფეროში მომუშავე მკვლევარებისთვის და პოლიტიკის შემქმენელებისთვის, როგორც ეროვნულ ისე რეგიონალურ დონეზე. პროგრამა მოიცავს ზოგად სასწავლო მოდულებს და აგრეთვე მორგებული იქნება შერჩეული მონაწილეების სპეციფიკურ საჭიროებებზე.

პროგრამის საბოლოო მიზანს წარმოადგენს ინსტიტუციური და ინდივიდუალური გაძლიერება, ჯანდაცვის სისტემაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავების ხელშეწყობა.

კონკრეტულად, პროგრამა ფოკუსირებას გააკეთებს შემდეგ საკითხებზე:

- ჯანდაცვის პოლიტიკასა და სისტემების კვლევა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავება და ადვოკატირება
- ანალიტიკური პროდუქტების მომზადების კუთხით უნარების გაძლიერება.
- წერითი უნარების, მონაცემების, მტკიცებულებების და ლიტერატურის სინთეზის უნარების გაძლიერება და პოლიტიკის ანალიზის უნარების გაძლიერება.
- სამთავრობო და არასამთავრობო სექტორს შორის კერძოდ კი პოლიტიკის შემქმნელებსა და სამოქალაქო საზოგადოებას და მკვლევარებს შორის ძლიერი კავშირების დამყარება.
- პრობლემის გადაწყვეტის უნარების გაძლიერება პოლიტიკის შემქმნელებსა და სამოქალაქო სექტორის, მათ შორის მკვლევარების ერთობლივი მუშაობის შედეგად პრაქტიკული გამოცდილების გამომუშავების გზით.

მონაწილეების საჭიროებებიდან გამომდინარე, პროგრამის მთლიანი ხანგრძლივობა, როგორც მინიმუმ, 2 თვე იქნება, რომელიც დაიწყება 3 დღიან ტრენინგით. მომდევნო 1 ან 2 კვირა, პროგრამის მონაწილე სამუშაო ტრენინგს გაივლის კურაციოს ოფისში (ან დისტანციურად), რის შემდეგადაც მონაწილეს საშუალება ექნება დოკუმენტის მომზადებაზე იმუშაოს დისტანციურად. ამასთან, ზოგიერთი მონაწილისთვის ინტერესის და სამუშაო თემის გათვალისწინებით შესაძლოა მოეწყოს სამუშაო ტრენინგი ან ვიზიტი სხვადასხვა პოლიტიკის შემმუშავებელ ან არასამთავრობო ორგანიზაციაში .

სტიპენდიანტებს მოეთხოვებათ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

- დეტალური რეზიუმე (CV)
- შევსებული კითხვარი (მიყევით ბმულს https://forms.gle/jX1TgbPoiwqYccP28)
- სარეკომენდაციო წერილი დამსაქმებლისგან

აპლიკაციები შეგიძლიათ მოგვაწოდოთ მიმდინარე წლის 5 თებერვლის ჩათვლით. პროგრამა დაიწყება ონლაინ ან პირისპირ 3 დღიანი ტრენინგით მიმდინარე წლის თებერვალში. გთხოვთ აპლიკაციები გამოაგზავნოთ კვლევითი განყოფილების დირექტორის მაია უჩანეიშვილის სახელზე internship@curatio.com და m.uchaneishvili@curatio.com -ზე.

პირველ ეტაპზე მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის გადარჩევა; შერჩეული კანდიდატებს ჩაუტარდებათ ინტერვიუ პირისპირ ან დისტანციურად/ონლაინ ინტერვიუ;

ორ-ეტაპიანი შერჩევის შედეგები შეიკრიბება და საბოლოო გადაწყვეტილება მიღებულ იქნება კურაციოს კვლევითი განყოფილების წამყვანი სპეციალისტების მიერ. აპლიკანტების შერჩევის პროცესი არ გადააჭარბებს 2 კვირას.

პროგრამის სასწავლო კურსი და მოსალოდნელი შედეგები

სასწავლო კურსი მოიცავს ტრენინგებს შემდეგ თემებზე:

- ჯანდაცვის პოლიტიკის და სისტემების კვლევა და მონაცემების კლასიფიკაცია;
- მონაცემის (მტკიცებულების) როლი ჯანდაცვის პოლიტიკის შემუშავებისას;
- მონაცემის (მტკიცებულების) დაკავშირება პოლიტიკასა და ქმედებასთან;
- საკვლევი და საკვანძო საკითხების პრიორიტეტიზაცია
- საძიებო სტრატეგიები ჯანდაცვის პოლიტიკის საკითხებზე საკვლევი მონაცემის (მტკიცებულების) იდენტიფიცირებისა და ხელმისაწვდომობის მიზნით;
- ძირითადი საკვლევი ელექტრონული ბაზები სისტემატური მიმოხილვისთვის;
- ანალიტიკური პროდუქტების მომზადება (პოლიტიკის ნარკვევი, სწრაფი მიმოხილვის დოკუმენტი, სწრაფი რეაგირების პროდუქტები და ა.შ)
- კომუნიკაციის მეთოდები და მიდგომები (გამართული კომუნიკაცია, მონაცემთა ვიზუალიზაცია, სოციალური მედიის კამპანია და ა.შ)
- ადვოკატირება (მტკიცებულებაზე დაფუძნებული ადვოკატირება, კოალიციური მიდგომები ადვოკატირებაში, პოლიტიკის ცვლილება და ა.შ)

პროგრამის შედეგად მონაწილემ უნდა იმუშაოს მონაცემთა (მტკიცებულების) სინთეზის დოკუმენტზე იმ პრიორიტეტულ საკითხის შესახებ, რომელიც წარმოადგენს გამოწვევას მონაწილის ორგანიზაციისთვის და იდენტიფიცირებული იქნება მონაწილის მიერ ან შეთავაზებული კურაციოს მხრიდან. დოკუმენტზე მუშაობა დაიწყება კურაციოს ოფისში 1 ან 2 კვირის მანძილზე, ხოლო დასრულდება დისტანციურად მაქსიმუმ 2 თვის ვადაში. საერთაშორისო ფონდი კურაციოს მკვლევარები და მენტორები გაუწევენ მონაწილეებს მხარდაჭერას როგორც ადგილზე ასევე დისტანციურად, რათა მათ შეძლონ პროექტის დასრულება და სურვილისამებრ წარდგენა დამსაქმებელ ორგანიზაციაში.

მასპინძელი ორგანიზაციის შესახებ

საერთაშორისო ფონდი კურაციო (CIF) არის არაკმომგებიანი, არაკომერციული, არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლის მისიაა მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება ჯანდაცვის სისტემების გაძლიერების გზით. კურაციოს საქმიანობა სამ ძირითად ღირებულებას ეყრდნობა: ჩვენ ვითვალისწინებთ საჭიროებებს, ვეყრდნობით წარსულის

წარმატებულ გამოცდილებას, ვპოულობთ ინოვაციურ, ვითარებაზე მორგებულ გამოსავალს. საერთაშორისო ფონდი კურაციო საქმიანობის განხორციელებისას ეყრდნობა ეროვნული და საერთაშორისო ექსპერტებისა და მკვლევრების ქსელს, რაც საშუალებას გვაძლევს, ერთმანეთთან დავაკავშიროთ ადგილობრივი პრობლემები და მათი გადაჭრის გზები. ჩვენ ვცდილობთ, გავაუმჯობესოთ ჯანდაცვის პოლიტიკა და ჯანდაცვის სისტემები. ჩვენი მუშაობა მიზნად ისახავს ჯანდაცვის სისტემის ფუნქციონირების გაუმჯობესებას და ჯანდაცვის სტრატეგიების (პოლიტიკის) ადეკვატურობას. ამჟამად, ჩვენ ვმუშაობთ არა მხოლოდ ლოკალურ და რეგიონალურ დონეზე, არამედ სულ უფრო მეტად გავდივართ საერთაშორისო დონეზე. 2015 წლის 1 მარტიდან, საერთაშორისო ფონდი კურაციო წარმოადგენს ჯანდაცვის სისტემების გაძლიერებაზე ორიენტირებული პირველი საერთაშორისო ორგანიზაციის – გლობალური ჯანდაცვის სისტემების (HSG) სამდივნოს.

საერთაშორისო ფონდი კურაციო მუშაობს სხვადასხვა მიმართულებით, კერძოდ: ჯანდაცვის სისტემების კვლევა, პოლიტიკის შემუშავება, გარდამავალი პროცესის შეფასება და მდგრადობა, პროგრამის შეფასება, ჯანდაცვის სისტემების გაძლიერება და არა მხოლოდ. იხილეთ მეტი ინფორმაცია ჩვენ ვებ-გვერდზე.

სტრატეგიული სასტიპენდიო/სტაჟირების პროგრამის შესახებ

საერთაშორისო ფონდი კურაციოს სტრატეგია ძირითად პრინციპებად გამოყოფს ინსტიტუციურ გაძლიერებას და საიმედო პარტნიორობის ჩამოყალიბებას. სტრატეგიული სასტიპენდიო/სტაჟირების პროგრამა ხელს უწყობს ამ სტრატეგიული მიზნების მიღწევას.

პროგრამა სარგებლის მომტანი იქნება როგორც მკვლევარებისთვის და არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლებისთვის, ისე იმ პირებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ პოლიტიკის შემუშავებაში ეროვნულ და რეგიონალურ დონეებზე, რადგან გააუმჯობესებს მონაწილეების უნარს გამოიყენონ ჯანდაცვის პოლიტიკისა და სისტემების კვლევა (HPSR) პოლიტიკის შემუშავებისა და ჯანდაცვის სისტემების გაძლიერების პროცესში. პროგრამა დაეხმარება მონაწილეებს მონაცემებზე და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებაში და ამ პრაქტიკის თავიანთ ორგანიზაციებში დამკვიდრების ადვოკატირებაში.

ინდივიდუალური და ინსტიტუციური შესაძლებლობები მასპინძელ ორგანიზაციაში

შესაძლებლობები	აღწერა
ინდივიდუალური შესაძლებლობები (უნარები და კომპეტენციები)	კურაციოს გუნდს აქვს, ჯანდაცვის პოლიტიკასა და სისტემების კვლევების (HPSR), ჩატარების გამოცდილება აგრეთვე უნარი განსაზღვროს პრიორიტეტული მიმართულებები კვლევაში და მოამზადოს კვლევის შედეგების შემაჯამებელი დოკუმენტები (პოლიტიკის ნარკვევი, სწრაფი რეაგირების დოკუმენტი და ა.შ) ასევე კომუნიკაციის და ადვოკატირების სხვადასხვა მიდგომების გამოყენების გამოცდილება, მაგალითად როგორიცაა პოლიტიკის დიალოგის ჩატარება და ა.შ. ამასთან, კვლევითი და ანალიტიკური უნარების გარდა, გუნდს გააჩნია მნიშვნელოვანი თემატური ცოდნა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მუშაობისის გამოცდილება.

ინსტიტუციური შესაძლებლობები

(კურსები, ტრენინგები, სემინარები, მონაცემთა ბაზებზე წვდომა, პოლიტიკის შემმუშავებელ ორგანიზაციებთან კავშირები)

25-წლის განმავლობაში, კურაციოს აქვს მსოფლიოს მასშტაბით 30-ზე მეტ ქვეყანაში მუშაობის გამოცდილება, უმეტესწილად აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში. კურაციოს ანგარიშზეა 186 განხორციელებული პროექტი, 230 -მდე კვლევა და 60 -ზე მეტი რეფერირებადი პუბლიკაცია.

კურაციო ფლობს პირველადი კვლევების მნიშვნელოვან პორთფელს და აქედან გამომდინარე პირველად მონაცემთა ბაზებს, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება სტიპენდიანტებისთვის შემდგომი ანალიზისთვის.

კურაციო რეგულარულად აწყობს სემინარებს სამეცნიერო კვლევების წარმოებისა და ინსტიტუციური გაძლიერების თემებზე.

კურაციოს იცნობენ, როგორც წამყვან მრჩეველ ორგანიზაციას პოლიტიკის შემუშავების საკითხებში, როგორც ეროვნულ, ისე რეგიონალურ დონეზე.

ორგანიზაციას გააჩნია ძლიერი კავშირები სხვადასხვა სამთავრობო და საკანონმდებლო ორგანიზაციებთან, როგორიცაა მაგალითად პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტი, ჯანდაცვის სამინისტრო, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოების ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი და სხვა.

2002 წლიდან მოყოლებული, კურაციომ წამოიწყო სტაჟირების პროგრამა, რომელიც იზიდავს სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურის სტუდენტებს მთელი მსოფლიოდან. კურაციოს სტაჟირების პროგრამა ყოველწლიურად აძლევს შანსს სტუდენტებს ჩაერთონ გლობალური ჯანდაცვის პროექტებში, რაც საშუალებას აძლევს მათ განივითარონ კვლევის უნარები, შეხვდნენ დარგში წამყვან ექსპერტებს და გახდნენ სამეცნიერო ნაშრომების თანაავტორები. სტაჟირების პროგრამები გამიზნულია, ერთის მხრივ ორგანიზაციაში მიმდინარე კვლევითი პროექტების მხარდასაჭერად, ხოლო, მეორეს მხრივ, მდგრადი პარტნიორობის ჩამოყალიბებისკენ.

ინფრასტრუქტურა

(სამუშაო ადგილი, კომპიუტერი, ინტერნეტი)

კურაციოს ოფისი ისეა მოწყობილი, რომ კომფორტული გარემო შექმნას, როგორც გუნდური, ისე ინდივიდუალური მუშაობისთვის. ოფისი აღჭურვილია კომპიუტერებით და შესაბამისი დანადგარებით და უზრუნველყოფს ინტერნეტთან უფასო წვდომას.

ორგანიზაციაში ხელმისაწვდომია შესაბამისი ანალიტიკური პროგრამული უზრუნველყოფა და ონლაინ ბიბლიოთეკა 8,000-ზე მეტი საინფორმაციო რესურსით 30 სხვადასხვა ენაზე.